დანართი №1

ზაფხულის სპეც.ტანსაცმლის ტექნიკური დახასიათება

<u>მამაკაცის სამუშაო შარვალი:</u>

მასალა- ქსოვილში ბამბის შემცველობა არანაკლებ 60%, ქსოვილის სიმჭიდროვე არანაკლებ 235გ/სმ^2, შარვალი სწორი, ჩაშვებული, წინა ნაწილზე დახრილი ჯიბეები. შუა წვივზე შარვალს ტოტის გარშემო მიკერებული აქვს 3სმ. სიგანის მანათობელი. მარჯვენა და მარცხენა მხარეს გვერდით ნაკერზე აქვს მოცულობითი ჯიბე, ჯიბის კანტი შესრულებულია სხვა ფერის ქსოვილით, ჯიბე იკვრება ფხრიწით. შარვალს უკანა ნაწილზე საჯდომის მიდამოში აქვს ორი ზედნადები ჯიბე, ჯიბეს აქვს სხვა ფერის სარქველი, რომელიც იკვრება ტექნიკური შესაკრავით (ფხრიწით), შარვლის ქამარი 4სმ-ია, ქამრის უკანა ნაწილი დამუშავებულია რეზინით, აქვს 5 საქამრე. შარვლის ბოლო დამუშავებულია 2 სმ-იანი რეზინიანი შენაკეცით, შარვალი იკვრება ელვა შესაკრავით, ერთი ღილით და ღილკილოთი.

<u>ზოგადი დაბინძურებისგან დამცავი ქურთუკი:</u>

ქურთუკი შეკერილია ლურჯ ფერში, ზედა ნაწილის ბოლოში დაკერებულია 3სმ-იანი მანათობელი, ზედა ნაწილზე წინ დაკერებული აქვს ორი ჯიბე, მარცხენა ჯიბეზე მიკრული აქვს გამჭვირვალე პლასტიკი ბეიჯის ჩასადებად, ქვედა ნაწილზე აქვს დახრილი ჯიბეები, იკვრება ელვით, შუა მკლავზე აქვს 3 სმ-იანი მანათობელი, მკლავებს ბოლოში აქვს მანჟეტები, ქურთუკი ბოლოვდება მანჯეტით. ქურთუკის ზურგზე მტკვრის ნაწილში - მტკვარი ენერჯი-ს ლოგოთი, ხოლო საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის ნაწილში - GIEC-ის ლოგოთი.

<u>მაისური:</u>

მაისური პოლოს სტილში, სწორი სილუეტის, ლურჯი ფერის, გადაფენილი საყელო იკვრება 3 ღილზე, სახელო მოკლე, მარცხენა მხარეს ერთი ჯიბე, საყელო შესრულებულია სხვა ფერში. ზურგზე მტკვრის ნაწილში - მტკვარი ენერჯი-ს ლოგოთი, ხოლო საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის ნაწილში - GIEC -ის ლოგოთი.